ლარს გაუფასურება ემუქრება!

გაზეთი “ახალი თაობა” – 22-23 აგვისტო, № 223, 2009

ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, პრემიერ მინისტრმა უარყოფითად შეაფასა ეკონომიკური განვითარების მინისტრის ლაშა ჟვანიას საქმიანობა და ის გადააყენა თანამდებობიდან. რას გვეტყვით ამის შესახებ?

– მართალია ბ-ნ ლაშა ჟვანიას ეკონომიკური განათლება არ გააჩნია და ეს მისი ეკონომიკური განვითარების მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის ყველაზე სუსტი წერტილი იყო, მან მაინც შეძლო მნიშვნელოვანი პოლიტიკური კვალი დაეტოვებინა საქართველოს მთავრობაში. ის თავიდანვე დაუპირისპირდა ბენდუქიძის გუნდს, რომლის წევრიც ბ-ნი ნიკა გილაურიცაა. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გაანთავისუფლა ორი გამორჩეული “ბენდუკა”, რომელიც პრემიერ მინისტრმა თავისტან წაიყვანა და ძალზედ დიდი ფუნქციები მისცა, რითაც ისინი დაუპირისპირა ჟვანიას. პრაქტიკულად მოხდა პოლიტიკური ვენდეტა – “ბენდუკებმა” ჟვანია პოლიტიკურად “შეჭამეს”.

– ითქვა, რომ მთელი მთავრობა და, რა თქმა უნდა, გილაურიც სექტემბერში შეიცვლება.

– რა მნიშვნელობა აქვს, შეიცვლება თუ არა. ეს ხელისუფლება მცოდნე და სერიოზულ კაცს თავისთან ვერ მიიყვანს. ეს შეუძლებელია. იმიტომ, რომ ჯერ ერთი მას არ დასჭირდება მცოდნე და სერიოზული კაცი, მეორეც – ასეთი კაცი თავად არ მივა. ხოლო შეიცვლება გილაური თუ არა, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ამას. ბოლო დროს ხშირად არის პრესაში საუბარი, რომ სექტემბერში მორიგი სამთავრობო კარუსელი იქნებაო. მართლაც რომ კარუსელია. კარუსელსაც ზუსტად იგივე ეფექტი აქვს, რაც კარებს: მიდის მოდის ადგილზე დგას!

– ეკონომიკის მინისტრები კი პიარს იკეთებენ, მაგრამ არსებობს და ფუნქციონირებს რეალურად ეკონომიკის სამინისტრო? საჯაროდ ეს უფრო პრივატიზების სამინისტროდ ჩანს.

– ეკონომიკის სამინისტროს ნგრევა დაიწყო შევარდნაძის დროს, როდესაც მას თანდათანობით ჩამოერთვა გარკვეული ფუნქციები. ერთ პეროიდი, ეკონომიკის სამინისტრო პირდაპირ იმუშავებდა გარკვეული ეჭვების აღმძვრელ გარიგებებსაც კი. ეს ყველაფერი დაწყებულია შევარდნაძის დროს. მცდარი იყო მოდელი, როდესაც სახელმწიფო ქონების მართვის ფუნქცია გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს. ეს უკვე იყო ეკონომიკის სამინისტროს, როგორც ინსტიტუტის დაკნინება. შეგახსენებთ, რომ კახა ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლისას ერთ-ერთი მთავრი განცხადება იყო, რომ ქვეყანას ეკონომიკის სამინისტრო არ სჭირდებაო და ერთ-ორ წელიწადში მიაღწევდა იმას, რომ ეს სამინისტრო არ იარსებებდა. ბენდუქიძემ პრაქტიკულად ამას მიაღწია. დღეს ჩვენ გვაქვს აბრა – "ეკონომიკური განვითარების სამინისტრო". იმიტომ, რომ რაიმე სერიოზული ფუნცია, გარდა პიარისა, არ აქვს. თუნდაც ამ ბოლო პერიოდში ეკონომიკის სამინისტროდან წამოსულ ინფორმაციას მოაქციეთ ყურადღება: სამინისტრო ატარებს კონკურსს საფოსტო მარკის გამოშვებაზე!!! ამ კრიზისულ პერიოდში კი ეკონომიკის მინისტრი უნდა აცხადებდეს, რა არის გასაკეთებელი, და არა საფოსტო მარკის გამოშვებაზე საუბრობდეს.

– გამოდის, რომ ბენდუქიძე ვერ ჩამოაშორეს ქვეყნის ეკონომიკურ სადავეებს?

– ბენდუქიძის ჩამოშორება ასე ადვილი არ არის. მთავარი არ არის, ბენდუქიძე კანცელარიის ან რომელიმე სამინისტროს შენობაში იქნება თუ არა. ბენდუქიძემ ახალი სენი შექმნა, რომელსაც ერთ-ერთ შეხვედრაზე "ბენდუიზმი" უწოდეს. სიამოვნებით ვიყენებ ამ ტერმინს, რომელიც ჩემი არ არის.

– "ბენდიუზმი" ბუდიზმივით ჟღერს... რა არის "ბენდიუზმი"?

– "ბენდიუზმი" ეს უვიცობის პანდემიაა. ჩვენ ხომ ყველა ეკონომიკაში ვცხოვრობთ, ამიტომ ჩვენ ვთვლით, რომ ეკონომიკაში ვერკვევით. ბენდუქიძემ

მოახერხა ის, რომ შექმნა არაპროფესიონალ ე.წ. ეკონომისტთა არმია, რომელსაც არანაირი ეკონომიკური განათლება არ გააჩნია, არანაირი ეკონომიკური სახელმძღვანელო არ წაუკითხავს. არის უბრალოდ მარტივი "ფორმულები", რომელიც ყველასთვის გასაგებია. ამათ ეს "ფორმულები" მოსწონთ, რადგან ესმით. ასეთ კადრებით არის დღეს დაკომპლექტებული სამთავრობო სტრუქტურები. ამიტომ ეს "ბენდუიზმი" ღორის გრიპზე უფრო საშიში დაავადებაა. ეს უვიცობაა. უვიცობა კი გადამდებია.

– ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას ისევ ბენდუქიძე ხელმძღვანელობს?

– ნამდვილად არ ვიცი, ბენდუქიძე ხვდება პრეზიდენტს და პრემიერს თუ არა. ამ შემთხვევაში ეს შეიძლება ნაკლებად საინტერესო იყოს. მთავარი ის არის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში არიან ბენდუქიძის მოწაფეები – "ბენდუკები". ეს ესახელო, უგვარო ხალხია, "ბენდუიზმის" სინდრომით დაავადებულნი და რომლებიც "ბენდუნომიკას" ქმნიან. "ბენდუნომიკა", შეგახსენებთ, სოსო ცისკარისვილის ტერმინია. ეს ის ხალხია, რომელიც არის პრემიერ-მინისტრის აპარატში, ეკონომიკის სამინისტროს აპარატში. სხვადასხვა უწყებებში, რომელთა ტვინში გაბატონებულია პრიმიტივიზმი და პიარი.

– გადავიდეთ საქმეზე. რა მდგომარეობაა ქვეყანაში ეკონომიკური და რას უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში? ზოგიერთი პროგნოზით, უმძიმესი შემოდგომა ელოდება ქვეყანას.

– ეკონომიკური კუთხით ქვეყანაში, რა თქმა უნდა, სახარბიელო მდგომარეობა არ არის, თუმცა არც კატასტროფულია. სახარბიელო მდგომარეობა ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყანის ეკონომიკურ კრიზისს, როგორც შიგა ფესვები აქვს, ასევე საგარეო ზეგავლენის შედეგები. შიგა ფესვებში მხედველობაში მაქვს ის ეკონომიკური პოლიტიკა. მცდარი კურსი იყო ჩადებული, სამშენებლო სექტორის განვითარებასა და საბანკო სექტორში. ამ ყველაფერს თავი უნდა ეჩინა. ამას დაემატა გლობალური ფინანსური კრიზისი და დღეს ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაშია. ზოგადად რომ არ ვისაუბრო, ამიტომ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ივლისში პარლამენტში მთავრობის ინიციატივით შევიდა ცვლილებები ბიუჯეტში და

საგადასახადო შემოსავლები ნახევარი მილიარდი ლარით შემცირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში მისი შესატყვისი ოდენობის საქონელი და მომსახურება ნაკლები იქნება წარმოებული. მაგრამ ეს მოსახლეობაზე ასე უშუალოდ არ აისახება, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი მლრდ ლარით შემცირდა საგადასახადო შემოსავლები, ბიუჯეტი მაინც გაიზარდა 314 მლნ ლარით. ანუ სინამდვილეში ბიუჯეტი გაიზარდა 814 მლნ-ით. ამ 814 მლნ ლარში 260 მლნ არის სახაზინო ვალდებულებების ემისია, ხოლო დანარჩენი ეს არის პრივატიზაცია და რაც ყველაზე მთავარა – ეს არის უცხოური დახმარება. უცხოურ დახმარებას კი საქართველო იღებს გასული წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელის კონფერენციის საფუძველზე. ამ კონფერენციაზე გამოითქვა საქართველოსთვის მხარდაჭერა 4,55 მლრდ დოლარზე. აქედან 2 მლრდ საჩუქარია – გრანტია. ეს დახმარება დაიწყო 2008 წლის შემოდგომაზე და გასტანს 2010 წლის ბოლომდე. პრაქტიკულად გლობალური ფინანსური კრიზისის ყველაზე მძიმე პერიოდში საქართველო საკმაოდ სერიოზული ფინანსურ დახმარებას იღებს. ბიუჯეტში მართალია საგადასახადო შემოსავლები მცირდება, მაგრამ ბიუჯეტი არ მცირდება. ეს არის საფუძველი იმისა, რომ ამ პესიმისტურ მდგომარეობა არ შეიქმნას, რომ საქართველოში პრაქტიკულად რაიმე კატაკლიზმა ეკონომიკური თვალსაზრისით მოსალოდნელი არ არის, თუკი ჩვენი მთავრობა და მთლიანად ხელისუფლება არ დაუშვებს მორიგ შეცდომას.

– ანუ ეს თანხა და მანამდე შემოსული თანხები სრულიად საკმარისია, რომ ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური კრიზისი არ იყოს?

– როგორც გითხარით, ეკონომიკური კრიზისი არის, მაგრამ საკმარისია, რომ არ იყოს კატასტროფა – არ ჩამოინგრეს ეკონომიკა. ეკონომიკაში აშკარად ვარდნაა. გითხარით, რომ ნახევარი მილიარდით ნაკლები ამოიღება ბიუჯეტის გადასახადები, მაგრამ ეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე არ აისახება. იმიტომ, რომ ფული სხვა წყაროებით შემოდის, თუმცა ნაკლებად შემოდის გადასახადებით. ეკონომიკა მცირდება, მაგრამ გვაქვს დონორთა დახმარება. ასე რომ, კატასტროფული ვითარება არ არის, თუმცა გარკვეულწილად საფრთხეები მაინც არსებობს საქართველოს

ხელისუფლების ქცევით. შევაჩერებ ყურადღებას რამდენიმე ასეთ საფრთხეზე. ერთ-ერთი საფრთხეა სახაზინო ვალდებულებების ემისია. აქ აშკარად გამოკვეთილი სირთულეები არსებობს. ჯერ ერთი – ეს პროცესი ბოლომდე გამჭვირვალედ უნდა ტარდებოდეს, და მეორე – უნდა გამოირიცხოს ისეთი მაქინაციები, რაც არც ისე დიდი ხნის წინ ჩატარდა. რა მაქინაცია მაქვს მხედველობაში: ივნისის პირველ რიცხვებში ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ხაზინაშია 50 მლნ ლარი გამოუყენებელი თანხაა, ამიტომ ტყუილად რატომ უნდა იყოს ხაზინაშიო და გამოაცხადეს ტენდერი, რომლითაც გაიმარჯვა "სახალხო ბანკმა". "სახალხო ბანკში" განათავსეს 5%-ად ეს 50 მლნ ლარი. თავისთავად ეჭვს იწვევს, რომ ყველამ იცის, "სახალხო ბანკი" არ არის ყველაზე კარგი ბანკი. ამიტომ, ცოტა ძნელად წარმოსადგენია რატომ მაინცდამაინც "სახალხო ბანკმა" გაიმარჯვა. ფინანსთა მინისტრის ამ განცხადებიდან სამი კვირის თავზე პრემიერ მინისტრი აცხადებს, რომ კომერციული ბანკებიდან სესხად უნდა იქნეს აღებული სახაზინო ვალდებულებების ემისიის ხარჯზე 260 მლნ ლარი. რა გამოვიდა: ბიუჯეტმა ფული ასესხა "სახალხო ბანკს" 50 მლნ 5%-ად, ახლა კი უკან უნდა ისესხოს საბანკო სექტორიდან 260 მლნ, მათ შორის "სახალხო ბანკიდანაც" შეიძლება თავისივე 50 მლნ უკანვე ისესხოს. თანაც გაცხადდა, რომ საპროცენტო განაკვეთი არ უნდა იყოს წლიურ 13%-ზე მეტი. რისთვის არის ეს მაქინაცია?! ასეთი რაღაცეები არ უნდა იყოს. ეს პირველი საფრთხე. მეორე საფრთხე დაკავშირებული ეროვნულ ბანკთან. რაც ეროვნული ბანკი სავალუტო ბირჟაზე არ მონაწილეობს, უკვე სულ უფრო ნაკლებ გამჭვირვალე ხდება ეროვნული ბანკის ქმედება. პრაქტიკულად ძნელად მოსაპოვებელია სავალუტო აუქციონებზე ყიდვა-გაყიდვის მაჩვენებლები. როდესაც ნაკლები ტრანსფარანტულობაა, როდესაც არის ნაკლები გამჭვირვალობა, აქ იქმნება გარკვეული საფრთხეები. ამიტომ, ნამდვილად არ მინდა ჩვენს მკითხველს პანიკური განწყობა შეექმნას, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული გარკვეული სპეკულაციები სავალუტო ბაზარზე, სულაც არ არის გამორიცხული ნახტომები სავალუტო ბაზარზე. იმიტომ, რომ მაშინ როცა გამჭვირვალე იყო პროცესი პროცესი ბანკთაშორის ბირჟაზე, მასში

მონაწილეობდა ეროვნული ბანკი და ეს ინფორმაცია ყოველდღიულად ცხადდებოდა ინტერნეტით, მაშინაც კი გააკეთა მთავრობამ გასული წლის 7 ნოემბერს ის, რაც გააკეთა – ხელოვნურად დააგდო 15%-ით ლარის გაცვლითი კურსი დამით მოგვიწყო "მწვანე პარასკევი". ხოლო, როცა დღეს ეს პროცესი თითქმის გაუმჭვირვალეა და ინფორმაცია ძნელად ხელმისაწვდომი, ასეთ დროს, მაქინაციების ჩატარება ბევრად უფრო ადვილია.

– ზურაბ ნოღაიდელის ინფორმაციით, სახალხო ბანკი ვანო მერაბიშვილმა იყიდა. თქვენ ახსენეთ, რომ გარკვეულ ფინანსურ მაქინაციებს აქვს ადგიოლი ბიუჯეტსა და კომერციულ ბანკებს შორის. შემთხვევითია ეს თუ შეიძლება ხელისუფლებამ შეგნებულად გადადგა ეს ნაბიჯი მერაბიშვილის ფინანსური ინტერესების დასაკმაყოფილებლად?

– მე ნამდვილად არანაირი დოკუმენტი არ გამაჩნია იმის დამდასტურებელი, თუ ვისია დღეს სახალხო ბანკი. მე არ შემიძლია გითხრათ, სახალხო ბანკი არის ვანო მერაბიშვილის თუ არა. ამას წინათ პრესაში ასეთი ინფორმაციაც გავრცელდა: სესაძლოა სახალხო ბანკი კახა ბენდუქიძემ იყიდოსო. ყოველ შემთხვევაში საბოლოოდ დადასტურებული ინფორმაცია, ვისია დღეს სახალხო ბანკი დღეს მიუწვდომელია. არ ვიცი ეს ბანკი მართლა იყიდა თუ არა ვანო მერაბიშვილმა, ანდა მართლა თუ იყიდა შემდგომ კახა ბენდიქიძემ. არ არის გამორიცხული არც ერთი და არც მეორე პიროვნება არ მონაწილეობდეს ამაში. მე ხომ გამომძიებელი არ ვარ. ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს ვინ იყიდაა ეს ბანკი. ჩემთვის როგორც ეკონომისტისთვის მთავარია, რომ ასეთი მაქინაცია არ უნდა ტარდებოდეს.

– ანუ საბიუჯეტო თანხები არ უნდა გამოიყენებოდეს კომერციული ბანკების სასარგებლოდ?

– რა გააკეთა მთავრობამ: მთავრობამ თავისივე ფულში სახალხო ბანკს უნდა გადაუხადოს პროცენტი. შეცდომაა ეს თუ დანაშაული – ამას კვალიფიკაციას ვერ მივცემ, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი რაღაც არ ხდებოდეს.

– მით უმეტეს ასეთი ფინანსური მაქინაციები არ უდა ხდებოდეს ბიუჯეტის ხარჯზე საბიუჯეტო პრობლემების პირობებში?

– რა თქმა უნდა, ქვეყანაში არის რეალური საბიუჯეტო პრობლემა. რომ არა უცხოური დახმარება, ჩვენი ბიუჯეტი შემცირდებიოდა და სეკვესტრის თემა იქნებოდა. წელს არ არის სეკვესტრის თემა, არა იმიტოჯმ, რომ გადასახადებიო ამოიღება, არა იმიტომ, რომ ეკონომიკა ვითარდება, არამედ იმიტომ, რომ გვაქვს უცხოური დახმარება.

– რა არის, ბატონო ლადო, საბიუჯეტო პრობლემების მიზეზი, არასწორი პოლიტიკა?

– საბიუჯეტო პრობლემების მიზეზი არის კრიზისი, ხოლო კრიზისის მიზეზია ის არასწორი პოლიტიკა, რომელსაც წლების განმავლობაში ახორციელებდა ჩვენი მთავრობა.

– პრემიერი ნიკა გილაურიც არასწორი მიმართულებით ახორციელებს ე.წ. ეკონომიკურ ნაბიჯებს?

– ბატონი ნიკა გილაური ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, ისევევ როგორც ნებისმიერი მთავრობის წევრი მით უფრო, რომ გილაური პრემიერობამდე იყო ფინანსთა მინისტრი. რაც შეეხება ნიკა გილაურის მიერ დაწყებულ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს, რომელიც მან მთავრობას წარუდგინა, ეს კრიტიკას ვერ უძლებს. ჯერ ერთი ვარდების რევოლუციის შემდეგ მთავრობამ ნებისმიერი მთავრობის პირობებში დაამტკიცა, რომ ის არის აბსოლუტურად უუნარო დაწეროს რაიმე პროგრამა, შექმნას რაიმე დოკუმენტი, რომელიც იქნება სამოქმედო გეგმა, შექმნას დოკუმენტი, რომელის წაკითხვაც შეიძლება, გაანალიზება შეიძლება. რევოლუციის შემდეგ ჩვენ გვაქვს მხოლოდ მოწოდებები, დაპირებები და არა პროგრამა. დაახლოებით მსგავსი დოკუმენტი შემოგვთავაზა მთავრობამ ამ ანტიკრიზისული პაკეტის სახით, რომელიც არანაირად რეალურ ანტიკრიზისულ ღონისძიებებს არე აწარმოადგენს. ასე, რომ აქ, რა თქმა, უნდა, გილაურის და მისი მთავრობის კრიტიკა საკმაოდ ადვილია. თუმცა შემიძლია გარკვეულ პოზიტივზეც ვილაპარაკო. პირველი პოზიტივი გახლავთ ის, რომ მთავრობა ფულს არ ხარჯავს მრეწველობის გადასარჩენად (რაც

საკმაოდ პოპულარულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, იმ საწარმოების გადასარჩენად, რომლებიც სინამდვილეში უნდა გაკოტრდეს. თუ ეს საწარმოები არ გაკოტრდა, ისინი მუდმივად დარჩება დაავადებად საქართველოს ეკონომიკურ სხეულზე. ასეთი საწარმოებში გაკოტრების მექანიზმი უნდა ამოქმედდეს და მენეჯმენტი უნდა შეიცვალოს. მივესალმები, რომ საქართველოს მთავრობა ძირითად ხარჯებს გეგმავს ინფრასტრუქტურულ პროექტებში და არა მრეწველობაში.

– ანუ მრეწველობის განვითარებას, ვთქვათ, ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარება სჯობია?

– მრეწველობა არ შეიძლება განვითარდეს საბიუჯეტო ფულით. ეს შეცდომაა. ასევე არ უნდა წავიდეს საბიუჯეტო თანხები მშენებლობის სექტორზე. ახლა რაც გეგმები არსებობს, ეს ყველაფერი ძალიან დიდი შეცდომად მიმაჩნია.

– შეცდომაა პროექტი "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე"?

– რა თქმა უნდა. ასეთი პროექტები უშუალოდ ბიზნესის გასაკეთებელია და სახელმწიფოს თანხები ამაში არ უდნა იყოს გათვალისწინებული.

– გამოდის, რომ დედაქალაქის მერმა არასწორი პოლიტიკა შეიმუშავა ბიუჯეტთან მიმართებაში?

– დედაქალაქის ხელმძღვანელობამ არასწორი პოლიტიკა ახლა კი არ შეიმუშავა, დიდი ხანია ამას ახორციელებს. გეკითხებით, თაბუკაშვილის ქუჩაზე სახლი რომ დაანგრიეს, ინგრეოდა თუ რატომ დაანგრიეს? თანაც, დანგრევა დაიწყეს მაშინ, როცა იქ ხალხი ცხოვრობდა. ვინც გამოყარეს, რა იმათ ბინები მისცეს? სანამ იმათ ბინებს არ მისცემენ, რა მორალური უფლება აქვთ იმათ მიმართ გაკეთონ მსგავსი განცხადებები, ვისი სახლებიც ინგრევა?

– თქვენ დადებითად მიიჩნევთ ინფრასტრუქტურაში მთავრობის მიერ დიდი ფულის ჩადებას, მაგრამ ეჭვია, რომ ამ გზით დიდი ფული იხსნება.

– გეთანხმებით, არსებობს ისეთი განცდა, რომ ეს ფული ინფრასტრუქტურაში იმიტომ იდება, რომ იქ ე.წ. "ატკატები" საკმაოდ

მაღალია. ამ შემთხვევაში მთავრობა თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული ამ თანხების გამოყენების გამჭვირვალობაში, რათა ნაკლებად დაბრალდეთ მათ ეს ე.წ. "ატკატების" თემა. ერთი რამ, რაც ასევე შეიძლება გილაურის მთავრობის სასარგებლოდ ითქვას: ჯერჯერობოთ ის წარმატებით ართმევს თავს დონორებთან მოლაპარაკებებს, საიდანაც საქართველოში ეს დახმარება მოდის. რომ ითქვა, 4,55 მლრდ-ს მივცემთო, იმას კი არ ნიშნავს, საბოლოოდ არის დადასტურებული მოცემა. ეს არის მუშაობის და მოლაპარაკების პროცესი. ჯერჯერობოთ გილაურის მთავრობა ამ საქმესაც თავს წარმატებით ართმევს.

– ლარის კურსის ვარდნას ენდა ველოდეთ?

– რა თქმა უნდა, თუ ეროვნულმა ბანკმა არ დაიწყო უფრო გამჭვირვალედ ქმედება. მე ამას ვიძახი პრვენციის მიზნით. ჟობია ახლა ვთქვა და ვთქვა თქვენი გაზეთის საშუალებით. მე მსგავსი რამ ჯერ არ მითქვამს. ყოველთვის ფრთხილი ვარ ასეთ განცხადებებში. იმიტომ, რომ ვიცი, ეს რა ფაქიზ სფეროსაც ეხება. მაგრამ თუ ეროვნულმა ბანკმა არ დაიწყო გამჭვირვალედ საქმიანობა, ეს საფრთხე ქვეყანას ნამდვილად აქვს. ამიტომ, მოვუწოდებ ეროვნულ ბანკს მეტი გამჭვირვალობისკენ.

– შეგნებულად შეიძლება გააფარჩაკოს ეროვნულმა ბანკმა ლარი? ეს გაუმჭვირვალობა ამის თქმის საფუძველს იძლევა?

– იცით რა? შეგნებულად თუ შეუგნებლად, არ ვიცი. მაგრამ როცა პროცესი გაუმჭვირვალია, მერე უკვე იქმნება სხვადასხვა საფრთხე. მე ამ საფრთხეებს რონ ვგრძნობ, იმიტომ ვიძახი.

– რა საფრთხეს გულისხმობთ, ლარის დევალვაციასა და ინფლაციას?

– პირველ რიგში საუბარია ლარის კურსის დევალვაციაზე. საგრძნობი დევალვაცია, რა თქმა უნდა ინფლაციაზეც აისახება. იმიტომ, რომ ჩვენთან ძალიან დიდია სამომხმარებლო კალათაში იმპორტის ხვედრითი წილი.

შორენა კოწოწაშვილი